სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.250.020.35.122.000.190

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2010 წლის 28 ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება (თან ერთვის).
2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების შესახებს“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 მაისის №84 დადგენილება.
3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას /კ. ბაბუნაშვილი/.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში (ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №31) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი ზ.მეტრეველი

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვას, მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელებას, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზებას, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკ-აქტორების იდენტიფიცირებას), შემუშავებას, განხორციელებას და მოსახლეობის ინფორმირებას, სანიტარიულ ზედამხედველობასა და კონტროლს.

2. სამსახურის საქმიანიობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო აქტები, გამგეობის დებულება და ეს დებულება.

3. სამსახურს აქვს საკუთარი ბლანკი, ბეჭედი და შტამპი. სამსახურის საქმიანობის და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

4. სამსახურს უფლება აქვს გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში.

5. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, მთავარი სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტებისაგან.

2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით.

3. დარგები და ფუნქციები გადანაწილებულია სამსახურის სპეციალისტებზე.

4. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გამგეობის დებულებით.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ) მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას.

გ) ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვას;

დ) უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას;

ე) წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის უფლებამოსილებანი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას;

დ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულების მართვას;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

ვ) სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ზ) დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

თ) სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

ი) უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას;

კ) სოციალური დაცვის მუნიციპალურ დაწესებულებათა მართვას;

ლ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

მ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პროცესში მყოფი მსჯავრდებულების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების აღრიცხვას და მათ სოციალურ უფლებათა დაცვის ხელშეწყობას;

ო) კულტურის, სპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივ შენობებსა და საგანმანათლებლო, ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, ზედამხედველობასა და მონიტორინგის წარმოებას;

პ) კონტროლის დაწესებას უმწეოთა სასადილოს მუშაობაზე და მონიტორინგის წარმოებას.

მუხლი 5. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და ახორციელებს შესაბამისი სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს გამგეობის სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციონალურ განაწილებას და სამუშაო გეგმას;

დ) განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს: გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ე) ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაბამისი წარდგინების საფუძველზე იღებს დადგენილებას სასმელი, საყოფაცხოვრებო და სამკურნალო წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევის შესახებ;

ზ) საამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დასუფთავების წესების დარღვევაზე, შესაბამისი წარდგინების საფუძველზე იღებს დადგენილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

თ) უქმნის მომსახურეებს მათი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის, საიდუმლოების რეჟიმს, შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელ პირობებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა ან ლიკვიდავია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.